

For the Reception of Romanticism in Georgian Symbolic Discourse
რომანტიზმის რეცეფციისათვის ქართულ სიმბოლისტურ
დისკურსში

Tamar Paichadze

PhD in Philology

Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: tamar.paichadze@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-8263-9881>

Abstract: The Georgian symbolist school itself was informationally presented as a variation of European school and identical to it by means of essence. This must also be considered as the cause of accusations by totalitarian ideology to modernists: that they were absolutely identical and imitated each other. Even general overview shows that despite their identical ideological-methodological choice the Georgian symbolist group members still were different from each other by creative status.

It is a fact that we must look for the origins of those extraordinary features in Georgian classic literature; naturally, the question if Georgian modernists had an ancestor in Georgian national artistic environment takes us to romanticism... The Georgian symbolists' answer was ambiguous at that time and is the same today from literature critics.

As it was stressed the Georgian symbolist school itself was informationally presented as a variation of European school and absolutely identical to it by means of essence. This must also be considered as the cause of accusations by totalitarian ideology to modernists: that they were absolutely identical and imitated each other. Even general overview shows that despite their identical ideological-methodological choice the Georgian symbolist group members still were different from each other by creative status (considering orthodoxalism and traditionalism).

As it is known in culturological researches symbolism is also called “neo-romanticism”. Here we meet its historic and attitude relation with European romanticism schools' traditions, although in Georgia the given attitude is different: as far as symbolism was not Georgian phenomenon and had a century distance from Georgian romantic school, their connection existed more on the level of historic memory. Georgian symbolists were also less aware of the base in creative ideology of Georgian romanticists. This explains their various attitudes to romantic poetry: they accepted only some of his poems and recognized only Nikoloz Baratashvili as representative of Georgian romanticism in general. Still, intercultural influences are apparent; world romanticism schools' artists and their creative image-symbols became closer to Georgian symbolists, which even in dualist philosophy interpretation were recognized in Georgian theories of transcendentalism and

spiritual unrest cultivation and in one of the main creative images of symbolic thinking – ideological perception of woman’s beauty and love.

If we speak about literature preamble of modernism ideology in Georgia we have to go through shorter chronology – only two decades in order to discuss Vazha Pshavela’s and Vasil Barnov’s creative biographies, as silhouettes of modernistic thinking are clearly seen in their artistic discourses.

Key words: literature, Cultural studies, Modernism, Romanticism, Epoch

თამარ პაიჭაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ელ-ფოსტა: tamar.paichadze@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-8263-9881>

აბსტრაქტი: როგორც ცნობილია, ქართული სიმბოლისტური სკოლა მოტივირებული იყო როგორც ევროპულის ვარიაცია და არსითაც აბსოლუტურად იდენტური. აქედან უნდა ვეძებოთ ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ მოდერნისტთა მიმართ არსებული ყბადაღებული ბრალდებების სათავეც: რომ ისინი იყვნენ აბსოლუტურად მსგავსნი და ერთმანეთის მიმბამველნი. თუნდაც ზოგადი გადახედვით საცნაურია, რომ მიუხედავად მათი იდენტური მსოფლმხედველობრივ - მეთოდოლოგიური არჩევანისა, ქართული სიმბოლისტური ჯგუფის წევრები შემოქმედებითი სტატუსით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ფაქტია, ამ არაორდინალურობის სათავე ქართულ კლასიკურ მწერლობაში უნდა ვეძიოთ. კითხვას - ჰყავდათ თუ არა ქართველ მოდერნისტებს ნაციონალურ შემოქმედებით გარემოში წინაპარი, ბუნებრივია, პირველყოვლისა რომანტიზმამდე მივყავართ... და აქ პასუხი არაერთგვაროვანი იყო მაშინაც - ქართველი სიმბოლისტებისაგან და ასეთივეა დღესაც, სალიტერატურო კრიტიკისაგან.

კულტუროლოგიურ კვლევებში სიმბოლიზმი „ნეორომანტიზმადაც“ მოიხსენება. ამ შემთხვევაში მუშაობს მისი ისტორიული და მეთოდოლოგიური მიმართება ევროპული რომანტიკული სკოლების ტრადიციებთან, თუმცა საქართველოში ეს დამოკიდებულება განსხვავებულია: იმდენად, რამდენადაც სიმბოლიზმი არსით ქართული მოვლენა არ იყო და ქართული რომანტიკული სკოლისგანაც საუკუნოვანი დისტანცია აშორებდა, მათი კავშირი უფრო ისტორიული მეხსიერების დონეზე არსებობდა. ქართველი სიმბოლისტები ქართველ რომანტიკოსთა

შემოქმედებით მსოფლმხედველობაში დასაყრდენს ნაკლებად აცნობიერებდნენ, ამით აიხსნება მათი არაერთგვეროვანი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი, - მისი მხოლოდ ზოგიერთი ლექსი მიიღეს, ხოლო ზოგადად ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ბარათაშვილს აღიარებდნენ, თუმცა ინტერკულტურული გავლენანი აშკარაა, ქართველი სიმბოლისტებისათვის მსოფლიო რომანტიკული სკოლების შემოქმედნი და მათი მხატვრული სახე-სიმბოლოები უფრო ახლობელი გახდა.

თუკი საქართველოში მოდერნისტული მსოფლადქმის ლიტერატურულ პრეამბულაზე უნდა მივუთითოთ, უფრო მოკლე ქრონოლოგია ჩანს გასავლელი - სულ ორიოდ ათწლეული ვაჟა-ფშაველას და ვასილ ბარნოვის შემოქმედებით ბიოგრაფიებთან მისაახლოებლად, რადგან მოდერნისტული აზროვნების სილუეტები მათ შემოქმედებით დისკურსებში ცალსახად იკვეთება.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, კულტუროლოგია, მოდერნიზმი, რომანტიზმი, ეპოქა

შესავალი. თანამედროვე კვლევებში არსებობს კითხვები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა გავლენა რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, შემდგომი პერიოდის (ეტაპის) ხელოვნებაზე და რამდენად ფართო იყო ამ გავლენათა სივრცე. როგორც ცნობილია, კულტუროლოგიურ კვლევებში სიმბოლიზმი „ნეორომანტიზმადაც“ მოიხსენება. ამ შემთხვევაში მუშაობს მისი ისტორიული და მეთოდოლოგიური მიმართება ევროპული რომანტიკული სკოლების ტრადიციებთან. საფრანგეთსა და რუსეთში ე.წ. “პირველი თაობის სიმბოლისტების” მხატვრული დისკურსი (ჟან მორეასი, მორის მეტერლინკი, სტეფანე მალარმე პოლ ვერლენი, ვიაჩისლავ ივანოვი ფეოდორ სოლოგუბი, ნიკოლოზ გუმილოვი, აფანასი ფეტი) ცალსახად გადიოდა რომანტიკულ და სიმბოლისტურ შეხედულებათა ზღვარზე. სიმბოლისტური წარმოსახვის მრავალშრიანი ბუნება და „ჩაუკეტავი მნიშვნელობანი“ დაფუძნებული მითოლოგიურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ წარმოდგენებზე, ზერეალურობასა თუ არსით მიუღწევადობაზე, ამ გავლენისა თუ პარალელის გაცნობიერების საშუალებას ერთმნიშვნელოვნად იძლეოდა.

ამ თვალსაზრისით არც ქართული სიმბოლისტური სკოლაა გამონაკლისი, იმდენად, რამდენადაც ის მოტივირებული იყო, როგორც ევროპულის ვარიაცია და არსითაც აბსოლუტურად იდენტური. აქედან უნდა ვეძებოთ ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ მოდერნისტთა

მიმართ არსებული ყბადაღებული ბრალდებების სათავეც: რომ ისინი იყვნენ აბსოლუტურად მსგავსნი და ერთმანეთის მიმბაძველნი. თუმცა, თუნდაც ზოგადი გადახედვით საცნაურია, რომ მიუხედავად მათი იდენტური მსოფლმხედველობრივ - მეთოდოლოგიური არჩევანისა, ქართული სიმბოლისტური ჯგუფის წევრები შემოქმედებითი სტატუსით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ფაქტია, ამ არაორდინალურობის სათავე ქართულ კლასიკურ მწერლობაში რომ უნდა ვეძიოთ, კითხვას - ჰყავდათ თუ არა ქართველ მოდერნისტებს ნაციონალურ შემოქმედებით გარემოში წინაპარი, ბუნებრივია პირველყოვლისა რომანტიზმამდე მივყავართ... და აქ პასუხი არაერთგვაროვანი იყო მაშინაც „ქართველი სიმბოლისტებისაგან და ასეთივეა დღესაც, სალიტერატურო კრიტიკისაგან.

თუმცა საქართველოში ეს დამოკიდებულება განსხვავებულია: იმდენად რამდენადაც სიმბოლიზში არსით ქართული მოვლენა არ იყო და ქართული რომანტიკული სკოლისგანაც საუკუნოვანი დისტანცია აშორებდა, მათი კავშირი უფრო ისტორიული მეხსიერების დონეზე უნდა მოვიაზროთ. ქართველი სიმბოლისტები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებით მსოფლმხედველობაში დასაყრდენს ნაკლებად აცნობიერებდნენ, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ეს შემოქმედებითი პროცესი ფრიად იმპულსური და უკვალო აღმოჩნდა ქართული კულტურული შემეცნებისათვის.

ძირითადი ნაწილი/დისკუსია. ამ განცხადებათა კვალობაზე პროცესი უფრო ფართო და ანალიტიკურ მიმოხილვას საჭიეროებს, მითუმეტეს რომ მისი ისტორიული ქრონოლოგია და ტენდენციები ლიტერატურის ისტორიის მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება და ჯერ კიდევ რომანტიზმის დამკვიდრებამდე ქართულ ლიტერატურაში/კულტურაში ჩამოყალიბებულ ცნობილ ტენდენციაზე მიუთითებს – ეს არის ქართული საზოგადოების ნაწილის სწრაფვა კათოლიკური ევროპისაკენ, რაც განპირობებული იყო პროტესტით იმდროინდელი სპარსოფილური პოლიტიკის და აქედან გამომდინარე, ქვეყნის მძიმე პოლიტიკური ვითარების წინააღმდეგ, აფართოვებდა დასავლური გავლენის არეალს და ქმნიდა ევროპულ კულტურასთან მეტად დაახლოების შესაძლებლობას. ამის ნათელი მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში და რუსეთში, მოსკოვში ცხოვრების პერიოდი; ასევე დავით გურამიშვილის ცხოვრების პრუსიული და უკრაინული ეტაპები. ამ ლიტერატორთა განსაკუთრებული როლი კავკასიური კულტურის ისტორიაში არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განსაზღვრული: მათ არა მხოლოდ დაიცვეს საკუთარი კულტუროლოგიური პრინციპები, არამედ ხელი შეუწყვეს შემდგომი კულტურული ორიენტაციის ჩამოყალიბებას საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ ეპოქაში; მოახდინეს რა ევროპეისტული აზროვნების

რეკონსტრუქცია საქართველოში, აღმოსავლური კულტურული მოდელისადმი განწყობილ ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ სივრცეს შესთავაზეს ევროპული ნეოკლასიკური კულტურის ტენდენციები; მათი მხატვრული ტექსტები იქცნენ არა მარტო კულტურულ-სამეცნიერო, გეოგრაფიულ, ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ-ჟანრულ გამოწვევად, არამედ ინტელექტუალურ ორიენტირად მათივე თანამედროვე კულტურაში. მეტიც, მათ დასაბამი მისცეს ინტერკულტურული კომუნიკაციების ლიტერატურულ ტრადიციას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარეს უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ახალ შემოქმედებით ნარატივს, რომელმაც შემდგომ ეპოქებშიც ჰპოვა გამოხატულება, რაც ამ მწერალთა მიერ ორგანიზებული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი პარადიგმის კონცეპტუალური და სტრატეგიული მნიშვნელობის მაჩვენებელია.

ამ ტენდენციათა ლოგიკური გაგრძელება იყო ის „ევროპული სხივი“, რომელიც ქართულ ლიტერატურაში დაფუძნებულ ახალ მეთოდოლოგიას შემოჰყვა, იგულისხმება XIX საუკუნის დასაწყისის რომანტიკული სკოლა, რომელსაც რამდენიმე მიმდევარი ჰყავდა და პოეტურ სახისმეტყველებაში იჩინა თავი. მისი მხატვრული ნიადაგი ნაციონალურ კლასიკურ მწერლობაში უნდა ვეძიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო კრიტიკაში არსებობს ასევე რეტროსპექტული და წარმოსახვითი ბმა რომანტიკული და სიმბოლისტური მწერლობის ისტორიიდან: ორივე მიმდინარეობისათვის მაცნედ თუ სიმბოლოდ იქცა გიმნაზისტთა გამოცემები, ხელნაწერი ჟურნალები: თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მიერ გამოცემული “ტფილისის გიმნაზიის ყვავილი” (“Цветок Тифлисской гимназии” (1835) და საქართველოში სიმბოლისტური მოძრაობის წინა ეტაპად სახელდებული ქუთაისელ გიმნაზისტთა ასევე ხელნაწერი გაზეთი „კოლხეთის ისრები“ („Стрелы Колхиды“ (1908). თუმცა სამეცნიერო რეგლამენტაციისა და მოვლენათა მსოფლმხედველობრივი იდენტურობის დასასაბუთებლად ეს ფაქტები არგუმენტები არ არის.

საქართველოში რომანტიზმს არაერთგვაროვნად აღიქვამდნენ თავად ქართველი სიმბოლისტები, ისინი თვლიდნენ, რომ რომანტიზმმა ქართული პოეზია აღმოსავლურ ტკბილხმოვან ნირვანას „გამოარიდა“. თუმცა ეს პროცესი განსაკუთრებით პირველ ეტაპზე სპონტანური იყო, იმდენად, რამდენადაც ქართული რომანტიკული სკოლის პირველი წარმომადგენლები ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი არ იყვნენ არსით რომანტიკოსები; მათი შემოქმედება ძირითადად წინა ეტაპის ლიტერატურულ (აღმოსავლურ) მოდელზეა დაფუძნებული და რომანტიკული ტენდენციების მხოლოდ მატარებელია.

ცნობილი ფაქტია, ქართული რომანტიკული სკოლის ყველაზე რაფინირებული მხატვრული დისკურსი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში იკვეთება, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა იმ დროის საზოგადოებისათვის მხოლოდ ნაწილობრივ, ფრაგმენტულად იყო ცნობილი; ის ბიუროკრატიულ სამუშაოს ეწეოდა ქვეყნიდან მოშორებულ რეგიონში, სადაც მას, როგორც შემოქმედს არავინ იცნობდა და შემოქმედებითი შესაძლებლობების აღმავლობის ხანაში სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა... მისი შემოქმედების რეზონანსიც არ ყოფილა ფართო, ის ლიტერატურულ ისტორიას და მეხსიერებას მოგვიანებით მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით დაუბრუნდა. აქედან გამომდინარე, მას, როგორც გარკვეული, ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მწერალს, თავისი პერიოდის ლიტერატურულ პროცესზე გავლენა ნაკლებად ექნებოდა.

ამით აიხსნება ქართველი სიმბოლისტების არაერთგვეროვანი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი, - მისი მხოლოდ ზოგიერთი ლექსი მიიღეს, ხოლო ზოგადად ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილს აღიარებდნენ.

„ქართული ლექსი ან პოეტი მიაღწევს მეოცე საუკუნის ნახევრამდის? ბარათაშვილის „მერანი“ უკვე დაიღალა ორმოცდაათი წლის ჭენებით ახლა ის ბებერია, ტყავგამხმარი - წერდა პაოლო იაშვილი (იაშვილი, 1922: 2).

ამგვარი პოზიცია ნაწილია იმ ცნობილი კრიტიკული ნაკადისა, რაც ზოგადად ქართული სიმბოლისური ორდენის წევრთა მიერ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურული სახელებისა და სახეების შესახებ არსებობდა.

თუმცა ამ დამოკიდებულებათა კონტრარგუმენტები ისევ და ისევ სიმბოლისტების შეხედულებებში ცნობიერდება. ერთ-ერთი პირველი ვალერიან გაფრინდაშვილი იყო, რომელმაც ბარათაშვილის „მერანი“ ლიტერატურულ და მხატვრულ-მსოფლმხედველობით შედევრად აღიარა, „მერანი“ და არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“ ავტორმა ერთი კატეგორიის ლექსებად შერაცხა. „აქ დიონისი დღესასწაულობს თავის გამარჯვებას საღ გონებაზე და შეუჩერებლად მიექანება ნირვანისკენ“ (გაფრინდაშვილი, 2011). ამ წერილით ავტორმა ნიკოლოზ ბარათაშვილი ევროპული ორიენტაციის, ინტელექტუალური მხატვრული ხელწერის ოსტატად წარმოუდგინა, რომელსაც თანამედროვე მხატვრულ დისკურსზე განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. ვალერიან გაფრინდაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილს „ქართული პოეზიის ჰამლეტი“ უწოდა: „მისი ლექსები დანიის პრინცის მონოლოგებია და ის თვითონ ჰამლეტის ნიღაბში მღერის თავის ლექსებს და წარმოთქვამს სახელგანთქმულ „ყოფნა არყოფნას“ (გაფრინდაშვილი, 2011).

ავტორი ზოგადად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკულ პოეზიას ევროპული ლიტერატურული სკოლებისა და პარადიგმების ჭრილში

განიხილავს: „ლექსში „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილმა შექმნა პოეზია დენდიზმისა და ვერლენის აჩრდილების“ (გაფრინდაშვილი 2011). ვალერიან გაფრინდაშვილმა ბარათაშვილის მხატვრული სივრცის საზღვრები არა მხოლოდ მსოფლიო პოეზიას, არამედ ფერწერასაც დაუახლოვა, „პოეტი ვრუბელისებურ სერაფიმივით დგას მთაწმინდაზე და იქიდან გადაჰყურებს თავის სიცოცხლეს. კიდეც ერთი წუთი და იგი, როგორც ვრუბელის დემონი, გადავარდება ნაპრალში და დაიხრჩობა დაისის დამაბრმავებელ ალში“.

„თუ ფრანგმა პოეტმა ლაფორგმა მიანდო თავისი გულის ჩვილები და საყვედურები პროვინციალურ მთვარეს, ბარათაშვილმა გაუზიარა თავისი ტანჯვა ერთ პირქუშ ვარსკვლავს, რომელიც დღემდე ანათებს ჩვენთვის და იწვის თავისი გაყინული სხივებით“. „არ არის სხვა დიალოგი უფრო საკვირველი თავისი ინტიმით, როგორც სიმბოლური დიალოგი „მწირისა და სუმბულის“. ეს ორი ჭიანურის დუეტია, რომელნიც სტირიან წყდიადში და უპასუხებენ ერთმანეთს უფრო ნაზი ვედრებით, ვიდრე სიტყვები მეტერლინკის დებისა...“

„ასე ახდენს „გავლენას“ ბარათაშვილის „მერნის“ ჩვენეულ აღქმასა და ინტერპრეტაციაზე არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“. ორივე პოეტი წერდა ტრადიციისა და თანამედროვეობის საოცარი შეგრძნებით: ისინი წერდნენ არა მარტო როგორც თავიანთი დროის შვილები, არამედ იმ ძალისხმევით, როგორც ელიოტი იტყოდა, თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა ჰომეროსიდან და შემდგომ, ერთდროულად არსებობდა მათს წარმოსახვაში. მარადიულისა და დროებითის შერწყმა გამოარჩევს ორივე პოეტს... ...არტურ რემბოს ლექსის ლირიკული გმირი „გაგიჟებული“ ხომალდია, რომელიც ოკეანეთა დაუსაზღვრავ სივრცეებში მიქრის, რათა თავი დააღწიოს ევროპის „შემოსაზღვრულ“ ნავსადგურებს“ (გაფრინდაშვილი, 2011).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვაწლზე ხაზგასმით მიუთითებდა გალაკტიონ ტაბიძე ჯერ კიდევ 1919 წელს ესეში „ძვირფასი საფლავები“: „როდესაც იგი მთაწმინდაზე ადიოდა - მისი სული ჰგავდა მთვარეს, რომელიც თანდათან ფითრდებოდა. იმან გაიარა თავისი მარტოობის გზა, გაიარა მოწყენილს, შეღამებულ დროს, როდესაც ბედნიერებას სძინავდა და სცხოვრობდნენ მხოლოდ აჩრდილები, ჭოტები და ცოდვეები. ბარათაშვილმა, როგორც ყველა ბუნებით დაბადებულმა მგოსნებმა, იმ თავითვე დაიმონა ფორმის სიძნელე, და გახდა ბატონი თავისი სტილისა, რომელსაც შემდეგ, დროთსვლასთან ერთად ასწორებდა და აშალაშინებდა“ (ტაბიძე, 2019). აქვე უნდა აღინიშნოს ცნობილი ფაქტის შესახებ, რომ ზოგადად ქართული ლიტერატურის კლასიკოსების მიმართ გალაკტიონ ტაბიძეს კრიტიკული დამოკიდებულება არასდროს ჰქონია, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული მხატვრული შემეცნების ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენლად

მიაჩნდა და მის გავლენას შემოქმედების ორივე (მოდერნისტულ და კლასიკურ) ეტაპზე განიცდიდა.

ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა სიმბოლისტური ლიტერატურული სკოლის წევრთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზისას. სიმბოლისტების შემოქმედების ყველაზე აქტიურ ეტაპზე 1915-1925 წლებში ნიკოლოზ ბარათაშვილთან და სხვა ქართველ რომანტიკოსებთან მხატვრული თუ ფორმალური ნათესაობა ნაკლებად სახიერდება, თუკი საქართველოში სიმბოლისტური მსოფლალქმის ლიტერატურულ პრეამბულაზე უნდა მივუთითოთ, უფრო მოკლე ქრონოლოგია ჩანს გასავლელი - სულ ორიოდე ათწლეული, ვაჟა-ფშაველას და ვასილ ბარნოვის შემოქმედებით ბიოგრაფიებთან მისაახლებლად, რადგან მოდერნისტული აზროვნების სილუეტები მათ შემოქმედებით დისკურსებში ცალსახად იკვეთება.

ამასთან ერთად, ინტერკულტურული გავლენანიც აშკარაა, ქართველი სიმბოლისტებისათვის მსოფლიო რომანტიკული სკოლების შემოქმედნი და მათი მხატვრული სახე-სიმბოლოები უფრო ახლობელი გახდა, რაც თუნდაც დუალისტური ფილოსოფიის ინტერპრეტაციაში, ტრანსცენდენტალიზმისა და სულიერი მოუწყობლობის კულტივაციის ქართულ თეორიებსა და ბოლოს სიმბოლური აზროვნების ერთ მთავარ მხატვრულ სახეში - ქალის მშვენიერების, სიყვარულის მსოფლალქმაში ცნაურდება (მაგ. შექსპირის ოფელია, ბაირონის მერი, როდენის ოფელია).

სიმბოლისტების აზრით, XIX საუკუნეში ევროპამ უპრეცედენტო ტექნოლოგიურ პროგრესს მიაღწია, მეცნიერებამ ადამიანებს გარესამყაროს შეცნობის საშუალება მიანიჭა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს სამეცნიერო რეალობა ვერ ავსებდა იმ სულიერ და მენტალურ სიცარიელეს, რომელიც ადამიანთა შემეცნებაში არსებობდა. ზღვარდადებული, ზედაპირული პოზიტივისტური იდეები სამყაროზე დადასტურებულ იქნა მნიშვნელოვანი აღმოჩენებით, რამაც დაამსხვრია მატერიალისტური მოძღვრებანი, შეირყა რწმენა მექანიკის კანონების აბსოლუტურობის შესახებ. გადაისინჯა განსაზღვრული „ერთმნიშვნელოვანი კანონზომიერებანი“: სამყარო აღმოჩნდა არა მხოლოდ უცნობი, არამედ შეუცნობელი. შეცდომათა გაცნობიერება, არსებული ცოდნის უკმარისობის შეგრძნებამ გამოიწვია ახალი გზების ძიებისა და შეუცნობლის შეცნობის სურვილი. ერთ ასეთ გზას - გზას შემოქმედებითი განდობისა - წარმოადგენდა რომანტიზმი, სამეცნიერო მსოფლმხედველობა დაფუძნდა ახალ ღირებულებებზე და აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი ცნობიერება შესაძლებელია დამყარდეს ზეცნობიერ შეხედულებებზე, ახალ, სუფთა საწყისზე. „ღმერთში არის თავგამოდებული წუხილი ადამიანზე, ღმერთში არის ტრაგიკული უკმარობა, რომელიც შეივსება ადამიანის შობით“ - წერდა ნიკოლოზ ბერდიაევი (Бердяев, 1994: 89).

შესაბამისად, ქართველი სიმბოლისტებისათვის ახლობელი იყო რომანტიკული შეხედულებანი ფილოსოფიასა და ესთეტიკაზე უძველესი (პლატონის) მსოფლმხედველობრივი ტრაქტატებიდან მოყოლებული - თანამედროვე სისტემებით გაგრძელებული (არტურ შოპენჰაუერის, ვლადიმერ სოლოვიოვის, ფრიდრიხ ნიცშეს, ანრი ბერგსონის შეხედულებათა კვალობაზე). სამყაროს შეცნობის ტრადიციულ იდეებს რომანტიზმმა შემოქმედებით პროცესში სამყაროს ჩამოყალიბების იდეა შეაგება.

ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედებითი თავისუფლება, განდგომა წინასწარნასწავლი ფორმულირებებისაგან, მისწრაფება ყოველივე ახლისა და არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი... ის ასევე ნიშნავს იდეალიზმს, სოციალური მნიშვნელობის ფაქტებისადმი უყურადღებობას, ანტინატურალიზმს, მისწრაფებას - ხორცი შეასხას მხოლოდ იმას, რაც არსებითი და მნიშვნელოვანია. “-წერდა რემი დე გურმონი (Реми де Гурмон, 1913, 47).

სიმბოლიზმის წინარე პერიოდი დაკავშირებული იყო კრიზისთან, რომელმაც ევროპას XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადაუარა, ახლო წარსულის ღირებულებათა გადაფასება ვიწრო მატერიალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ბუნტითა და დიდი რელიგიურ თუ ფილოსოფიურ ძიებათა თავისუფლებით გამოიხატა.

XIX და XX საუკუნეთა გასაყარი აბსოლუტური ღირებულებების, უღრმესი მენტალური გარდასახვისა თუ შთაბეჭდილებების ძიების ხანად იქცა. ამ განცდებიდან გამომდინარე სიმბოლისტური მოძრაობა უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა ურთიერთობის აღდგენის პრინციპს დანარჩენ სამყაროსთან, რაც რომანტიკული თეორიების შემოქმედებით გადამუშავებაში გამოიხატებოდა. სიმბოლისტური ესთეტიკა ღრმავდებოდა წარმოდგენებში „ზღვარსმიღმა სამყაროზე“, სიკვდილის მომხიბვლელობაზე (ოსკარ უაილდის „სალომეა“, ვალერი ბრიუსოვის „ცეცხლოვანი ანგელოზი“), სამყაროს დუალისტურ აღქმაზე (კენტავრი, ქალთევზა, ქალი-გველი) ორი სამყაროს არსებობის რეალობაზე, მათ ზღვარზე... ამგვარი ე.წ. „პარნასული“ ფსიქოლოგია“ და “გრძნობიერი ფორმები“ რომანტიკული მსოფლმხედველობიდან იმთავითვე იქცა სიმბოლისტური იდეების ინსპირაციად ხისტი მხატვრული კონვენციების წინააღმდეგ.

სიმბოლიზმს შეუძლია გაითავისოს სხვადასხვა ფორმები. როგორც წესი, ეს არის ობიექტი, რომელიც წარმოადგენს „სხვას“, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით, რომელიც ღრმა და მნიშვნელოვანია.

ხაზი უნდა გავუსვავთ, რომ სიმბოლო, როგორც მხატვრული ხერხი, არ არის სიმბოლიზმის შემოტანილი ხელოვნებაში, მას ბევრად უფრო გრძელი ისტორია აქვს და პირიქით, მას დაეფუძნა სიმბოლიზმი, რისი მაგალითებიც ლიტერატურაში არაერთგზის გვხვდება. სიმბოლოს პრინციპული

განსხვავება მხატვრული სახიდან - მისი მრავალმნიშვნელოვნებაა. სიმბოლური სახის დეკოდირება შეუძლებელია განსჯაზე - ლოგიკაზე „მიძალებით“, ის ღრმაა და არ წარმოადგენს ცნების საბოლოო ინტერპრეტაციას.

„გაორება სიმბოლოში იწყება რომანტიული წარმოდგენებიდან ორსახოვნებაზე, ყოფიერების ორი სივრცის ურთიერთგადაკვეთაზე“ (Белый, 1912:78) მაგალითისათვის არაერთი ნიმუშის მოტანა შეიძლება რომანტიკული მწერლობიდან, სადაც ცალსახად შეიძლება გავაცნობიეროთ სიმბოლისტური თვალთახედვაც.

შეიძლება ითქვას, რომ ჟაკის ცნობილი მონოლოგი უილიამ შექსპირის პიესიდან „თუ თქვენ ის მოგწონთ“, სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს:

"მთელი მსოფლიო თეატრია

და იქ ყველანი მამაკაცებიცა და ქალებიც მსახიობები არიან;

ყოველ მათგანს გამოსვლისა და გასვლის დრო აქვს,

და ყოველი მათგანი არაერთ როლს თამაშობს ".

აღნიშნული სტროფები გასიმბოლურებაა ფაქტისა, რომ ქალი და მამაკაცი განსხვავებულ როლებს ასრულებენ ცხოვრებაში. "სცენა" აქ სიმბოლოა სამყაროსი, ხოლო მსახიობისა და მოთამაშისთვის - ყოფის ასპარეზი.

უილიამ ბლეიკი ლექსში: " აჰ მზესუმზირავ“ წერს:

"აჰ, მზესუმზირავ, დადლილო დროით,

რომელიც აღიქვამ მზის ნაბიჯებს;

ვემებ მას შემდეგ, ტკბილ, ოქროს მხარეში,

სადაც, მგზავრი დაივანებს ... "

ბლეიკის ამ მხატვრულ ნარატივში მზესუმზირა აღქმულია როგორც სიმბოლო ადამიანისა და "მზის" ურთიერთკავშირისა, თანაცხოვრებისა და სამარადისო კავშირისა.

სიმბოლური თვალსაზრისით განიხილება თითქმის ყოველი პერსონაჟი და მოვლენა ემილი ბრონტეს რომანში „ქარიშხლიანი უღელტეხილი“:

"ჩემი სიყვარული - როგორც ფოთლები ტყეში. მე კარგად ვიცი, დრო შეცვლის ჩემს შეყვარებულს, ისევე როგორც ცვლის ხეებს ზამთარი. ჩემი სიყვარული ჰგავს მარადიულ ქვებს, რომელიც წყაროა ნაკლებადმესამჩნევი, მაგრამ აუცილებელი აღფრთოვანებისა ".

სარა ტისდეილი ლექსში „ველური კალები“ წერს:

"გაზაფხულზე შევეკითხე გვირილებს

ნუთუ ეს სამყარო ტყუილია?

ამ პატარა და ჭკვიანმა გვირილებმა

ხომ ყველაფერი იციან...

ახლა მინდვრები ყავისფერია და უნაყოფო,

შემოდგომის მწარე ქარი ქრის
და სულელმა კალებმა
არაფერი იციან"

აქ „გაზაფხული“ და „გვირილები“ სიყმაწვილის სიმბოლოებია, „უნაყოფობა“ და „ყავისფერი“ ახალგაზრდობიდან სიბერისაკენ სვლას მიანიშნებს. ხოლო „მწარე შემოდგომა“ სიკვდილის მოლოდინის სიმბოლური აღქმაა.

სიმბოლოს ფუნქცია ამგვარად იქნა განსაზღვრული სიმბოლიზმის თეორეტიკოსის ფიოდორ სოლოგუბის მიერ: „სიმბოლო - „ფანჯარაა უსასრულობაში. აზრობრივ ფორმაციათა ეს მოძრაობა და თამაში წარმოქმნის შეუცნობლობას, სიმბოლოს საიდუმლოს. თუ გამოსახულება გამოსახავს ერთგვაროვან მოვლენას, სიმბოლო იტევს მთელ რიგს მხატვრულ, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო, სხვადასხვა მიმართულებრივი ღირებულებებისას“ (Сологун, 2002: 425).

დასკვნა/შედეგები. ამდენად, საფუძვლებრივად სიმბოლიზმი უერთდებოდა სამყაროს პლატონურ და ქრისტიანული კონცეფციებს, ამასთან ითავისებდა სამყაროს რომანტიული წარმოსახვის მეთოდებს და ატარებს რომანტიზმის გენეტიკური კოდს. ბუნების სურათები, ადამიანის ქმედებანი, ჩვენი ცხოვრების ფენომენი და მოვლენები მნიშვნელოვანია სიმბოლისტური ხელოვნებისათვის, არა როგორც თავად ასეთი, არამედ როგორც მხოლოდ დაუკავშირებელი გამოხატულება პირველადი იდეისა, რომელიც მიუთითებს ჩვენთან საიდუმლო მსგავსებაზე“ - წერდა ჟან მორეასი (Moreas, 1886).

ამ რეალობათა გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, სიმბოლისტები პატივს სცემდნენ, ითვალისწინებდნენ რომანტიკულ ხანას, როგორც ახალი ლიტერატურის გზის დასაწყისს, ეს დამოკიდებულება თუ ტენდენცია ქართულ მწერლობაშიც იკვეთება, თუმცა ქართული სიმბოლისტური სკოლა მსოფლმხედველობრივ და შემოქმედებით კავშირებს მსოფლიო (ევროპულ) რომანტიზმთან, მათ წარმომადგენლებთან და თეორიებთან უფრო ხედავდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბელი, 2012; Андрей Белый Собрание сочинений. Арабески. Книга статей. Луг зеленый. Изд.: Республика, Москва 2012 გვ. 78.

2. ბლეიკი, უილიამ; ლექსი " აჰ მზესუმზირავ " , (გამოქვეყნდა 1794წელს) WILLIAM BLAKE „Ah, Sun-flower“, <http://www.poetryfoundation.org/poem/172905>

3. ბრონტე, 2002; „ქარიშხლიანი უღელტეხილი“; Emily Bronte "Wuthering Heights", Paperback, Fourth Edition, 2002, W. W. Norton & Company

4. ბერდიაევი, 1994; Бердяев Н. „Философия творчества, культуры и искусства“. Т. 2. М.: Искусство, 1994
5. გაფრინდაშვილი, 2011; გაფრინდაშვილი, ვალერიან; “ ბარათაშვილი” <https://burusi.wordpress.com/2011/05/28/baratashvili->
6. იაშვილი, 1922; იაშვილი, პაოლო “პოეტი საქართველოში“ გაზეთი “ზახტრიონი“ 1 1922
7. მორეასი, 1886; Jan moreasi «Le Symbolisme », Le Figaro, 18 septembre, 1886 <http://www.berlol.net/chrono/chr1886a.htm>
8. რემი დე გურმონი, 1913; Реми де Гурмон "Книга Масок", Санкт-Петербург 1913
9. სოლოგუბი, 2002; „სიმბოლიზმის შესახებ“, Сологуб Ф. К. О символизме // Собр. соч.: В 6 т. Т. 6. М., 2002.
10. ტაბიძე, 2019; ტაბიძე, გალაკტიონ; „ძვირფასი საფლავები“ <http://www.galaktion.ge/?page=Articles&year=1919&p=1&id=4050>
11. ტესდეილი, 1996; Sara Tesdeili, The Collected Poems of Sara Teasdale Published 1996 by Buccaneer Books <http://allpoetry.com/Wild-Asters>
12. შექსპირი, უილიამ; პიესა „თუ თქვენ ის მოგწონთ“, William Shakespeare "As You Like It": http://lib.ru/SHAKESPEARE/ENGL/asyoulike_en.tx